ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 აპრილი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 64 (10 238) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# წარმატება სტარტზე

**ჰილტონ ჰედ აილენდი (აშშ).** აქ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ფემილი სერკლ მეგეზინი", რომლის საპრიზო ფონდი ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენს. მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობენ საბჭოთა სპორტსმენებიც.

ერთ-ერთ მათგანს, თბილისელ ლეილა მესხს სტარტზე გამარჯვების შემდეგ საკმაოდ ძნელი ბრძოლა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიელ პეტრა ლანგროვასთან. ორსაათიან პაექრობაში წარმატება ბოლოს მაინც მესხს ხვდა — 4:6, 6:2, 7:6 (8:6). მეორე წრის შეხვედრა მოიგო ნატალია ზვერევამაც. მან არგენტინელ პატრიცია ტარაბინის აჯობა — 6:4, 6:2.

მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, მარტინა ნავრატილოვამ, ზინა ჰარისონმა (ორივე — აშშ), კლაუდია კოდე-კილშმა (გფრ) და სხვა უძლიერესმა ჩოგბურთელებმა.

წყვილთა ტურნირში ლეილა მესხის პარტნიორია ცნობილი ბულგარელი ჩოგბურთელი კატერინა მალეევა. პირველ წრეში ამ დუეტმა დაამარცხა სამხრეთაფრიკელთა (კამილა ბენჯამენი — კარენ შიმპერი) წყვილი — 6:2, 7:5.

# „ოქრო" და „ვერცხლი" [illegible] კლდოვანი ტრასებიდან

**ორასზე** მეტი ჭაბუკი და ასორმოცდაათამდე გოგონა ცდიდა ძალას ალმა-ათის მახლობლად, ტიანშანის ურთულეს კლდოვან ტრასებზე, სადაც ჩატარდა სამანტა სმითის ხსოვნისადმი მიძღვნილი იუნიორთა საერთაშორისო მემორიალური ასპარეზობა მეკლდეურობაში. იქ წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა მთამსვლური სპორტსკოლის აღსაზრდელები.

ბოლო ორი წელია, სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებებში ბრწყინვალედ გამოდის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ზაზა გურჩიანი. მან არც ამჯერად შეირცხვინა თავი და მეკლდეურობის სამივე სახეობაში იმარჯვა. დიახ, იგი უძლიერესი იყო „წყვილთა გარბენში", აგრეთვე მოკლე და გრძელ ტრასებზე ინდივიდუალურ ცოცვაში — სულ სამი ოქროს მედალი და აბსოლუტური პირველობა მოიპოვა.

ჭაბუკს შესანიშნავად აუბა მხარი მისმა ძმამ, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატმა აზა გურჩიანმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა წყვილთა გარბენში და მეორე იყო ინდივიდუალურ ცოცვაში, აქ მას აბსოლუტური პირველობის ბრინჯაოს მედალი ერგო.

ასპარეზობისათვის გუნდი მოამზადა მწვრთნელმა ვლადიმერ ქურასბედიანმა.

ახლა ჩვენს მეკლდეურებს საკავშირო პირველობა ელით, რომელიც მაისში სიმფეროპოლში ჩატარდება.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**გუშინ** გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები

„სამგურალი" (წყალტუბო) — „ივერია" (ხაშური) 0:1

„მზიური" (გალი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:4

„ბორდა" (რუსთავი) — „იბერია" (თბილისი) 1:1

„დილა" (გორი) — „ბათუმი" (ბათუმი) 0:0

„გურია" (ლანჩხუთი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 6:0

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „სანავარდო" (სამტრედია) 0:1

„ოდიში" (ზუგდიდი) — „ოზურგეთი" (ოზურგეთი) 0:0

„კოლხეთი" (ხობი) — „ცხუმი" (სოხუმი) 1:0

„შევარდენი" (თბილისი) — „ქუთაისი" (ქუთაისი) 1:3

# საქართველოს სპორტსახკომში

## ქართული სპორტის რეზერვი დიდი გამოცდის წინ

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადების ჩატარების ტრადიცია კვლავ აღდგა. ეს მასობრივი ასპარეზობა შეტანილია 1990 წლის საკავშირო კომპლექსური ღონისძიებების პროგრამაში.

საქართველოს ნორჩი სპორტსმენები სპარტაკიადისთვის გასული წლიდან ემზადებიან. საგანგებო შტაბის სხდომებზე, რომელიც ჩვენს სახალხო განათლების სამინისტროშია შექმნილი და მინისტრის მოადგილე კობა სუჯაშვილი უძღვება, მსჯელობდნენ სპორტის ცალკეულ სახეობებში ნაკრები გუნდების მზადების შესახებ, განიხილავდნენ პრობლემებს, იგეგმებოდა სავარაუდო შედეგები. ეს პროცესი გრძელდება. ამჯერად შესაჯამებელი იყო გაწეული მუშაობის პირველი ეტაპის შედეგები. რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს?

პასუხი ამ კითხვაზე უნდა გაეცა სპორტსახკომში გუშინ გამართულ გაფართოებულ სხდომას. ინფორმაციით გამოვიდა სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი მურთაზ მნათობიშვილი. ითქვა, რომ ნაკრები გუნდების მზადება საერთო საქმედ იქცა, მასში ჩაებნენ სხვადასხვა უწყებები, სპეციალისტები, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან. რესპუბლიკა უმასპინძლებს ძიუდოს, სამბოს, ფეხბურთის და თავისუფალი ჭიდაობის ტურნირებს.

სხდომაზე განიხილეს როგორც საქართველოს სპორტული დელეგაციის უკეთ მომზადების, ისე ჩვენთან დაგეგმილ სახეობებში ასპარეზობების მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზაციული საკითხები.

კ. სუჯაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან პროფესიულ დახმარებას, მათი მხრიდან ყოველდღიურ ზრუნვას და პრაქტიკულ თანადგომას პრობლემების გადაჭრაში.

სხდომის შედეგები შეაჯამა სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ. მან კმაყოფილება გამოთქვა საერთო საქმისადმი ორგანიზატორების, ფუნქციონერების, მწვრთნელების გულისხმიერი დამოკიდებულების გამო. ამასთან აღნიშნა, რომ ნაკრები გუნდები უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ ღირსეული კანდიდატებით, ობიექტურად. საბოლოოდ უნდა გადაიჭრას გუნდების სამედიცინო სამსახურით უკეთ უზრუნველყოფის საკითხი. სპორტსახკომის თანამშრომლებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ქართული სპორტის ხვალინდელი დღის რეზერვს არ ჰქონდეს პრობლემები. სპორტსახკომის ინსპექციას დაევალა გააქტიუროს და გააღრმავოს მუშაობა.

ხაზგასმით ითქვა, რომ სტუმრებს, მათი რიცხვი კი ჩვენთან ორიათასამდე იქნება, საუკეთესო პირობები უნდა შეექმნას როგორც საასპარეზოდ, ისე დასასვენებლად და გასართობად. კვლავაც აქტიურად უნდა იმუშაონ სოციოლოგებმა.




**თურმე** ფერადი გაზეთის დაბეჭდვა საქართველოშიც შეგვძლებია, მაგრამ ეს გაკეთდა დიდი გარჯის შედეგად და ჭერჭერობით ცდა იყო მხოლოდ. პირველი ფერადი ქართული გაზეთია „ნატვრისთვალი", რომელიც ამ დღეებში დაისტამბა. ამ გაზეთმა ჩვენი ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ მისი ბოლო გვერდი თითქმის მთლიანად სპორტს, კერძოდ, საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანების პერიპეტიებს ეხება.

# დაჯილდოება

**რესპუბლიკაში** თავისუფალი ჭიდაობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელითა და სამახსოვრო ოქროს მედლით დაჯილდოვდა ვეტერანი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **დავით მიხეილის ძე ციმაკურიძე.**

# გაზეთ „ლელოს" რედაქციას

**გვინდა** თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ 30 მარტს ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზე მოსულ მაყურებლებს, რომლებმაც სტადიონზე დადგმულ ყულაბებში თავიანთი დანაზოგიდან წვლილი შეიტანეს სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკურ საქველმოქმედო ფონდში. იმ დღეს ფონდის შემოსავალი 10 ათას მანეთზე მეტით გაიზარდა.

განსაკუთრებით გვინდა გულთბილი მადლობა ვუთხრათ თბილისში, დიღმის მასივში მცხოვრებ ბატონ ა. ზელაიას, რომელმაც ფონდს 200 მანეთი უბოძა.

შემოსული თანხის გამოყენების თაობაზე საზოგადოებრიობას ვაცნობებთ.

**ფონდის მზრუნველთა საბჭო.**

# „ცხუმის" ანგარიშის ნომერია 60934

**ეს** ცნობა გუშინ მოგვაწოდა „ლელოს" სოხუმელმა კორესპონდენტმა თენგიზ პაპკოიამ. კორესპონდენტი იმოწმებს საფეხბურთო კლუბ „ცხუმის" პრეზიდენტს გურამ გაბესკირიას განცხადებას იმის შესახებ, რომ ახალი საფეხბურთო კლუბის ანგარიში გახსნილია სოხუმში ბინსოცბანკის აფხაზეთის რესპუბლიკურ სამმართველოში. ორგანიზაციებს და დაინტერესებულ პირებს უკვე ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი თანხა ჩარიცხონ ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

ვინ რამდენს გაიღებს? მოგვწერეთ!

# ვიდეოკამერა კვლავ დაგვჭირდება

**„ლელოს"** მკითხველებს ალბათ კარგად ახსოვთ იმ დღეების აჟიოტაჟი, როცა საქართველოს ტრადიციული კარატეს წარმომადგენლები პერუში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ეს იყო ისტორიული მოვლენა, რადგან იქ, შორეულ ლიმაში ტრადიციული კარატეს მსოფლიო კონგრესზე ჩვენი ფედერაციის აღიარებისა და განვითარების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. მაშინ გადაწყდა, რომ საჭირო იყო ეს ფაქტი ვიდეოფირზე გადაგვეღო და შთამომავლობისთვის შემოგვენახა, მაგრამ... რა დასამალია, ჟურნალისტებიდან ვიდეოკამერა არავის აღმოგვაჩნდა. დახმარებისთვის მკითხველს მივმართეთ. ახლა კვლავ დაგვჭირდა თანადგომა, ამჯერად რაგბისტები მიემგზავრებიან ზიმბაბვეში, სადაც კიდევ ერთი რეალური ნაბიჯი უნდა გადაიდგას საქართველოს რაგბის ფედერაციის დამოუკიდებლობისათვის და საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებისთვის. და, რასაკვირველია, გადავწყვიტეთ ეს მოვლენაც ავსახოთ ვიდეოფირზე ისტორიისათვის.

ვისაც სურს გამოგვიწოდოს დახმარების ხელი, ველოდებით „ლელოს" რედაქციაში ხვალ, 6 აპრილს დღის 10-დან 13 საათამდე. ან დაგვირეკეთ ტელეფონით 99-56-14; 93-97-50.

აქვე დავძენთ, რომ პერუში თბილისელ თემურ ხვედელიძის მიერ შემოთავაზებული კამერით გადაღებულ ვიდეოკასეტას ეკრანზე საქართველოს ტელევიზია უჩვენებს ამ დღეებში. გადაცემას ჰქვია „ეს ერთი და სხვა მრავალი"!

# ჩემპიონი — ახალი, პრობლემები — ძველი

**ცხენოსნობის** კლასიკურ სახეობებში ამიერკავკასიის თასის გათამაშების შემდეგ დელისის იპოდრომზე მოეწყო თბილისის პირადი აბსოლუტური პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. დედაქალაქის აბსოლუტური ჩემპიონი უნდა გამოვლენილიყო სამი შეჯიბრების შედეგებით — სამონადირეო პარკური (12 დაბრკოლება, 15 ნახტომი, სიმაღლე 120 სმ), ამორჩევითი კონკური (12 დაბრკოლება, 9 ნახტომი, 120 სმ.) და „თბილისის თასი" (1 ჰიტი, 16 ნახტომი, 130 სმ.). თუმც ჩემპიონატი ღია იყო, მასში ძირითადად საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზისა და სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ (ფოთელ და ჩოხატაურელ თითო მონაწილეს, ცხადია, პირველობის შემადგენლობის ხასიათზე გავლენა არ მოუხდენია).



**სურათზე:** თბილისის 1990 წლის აბსოლუტური ჩემპიონი დაბრკოლებათა გადალახვაში ზაზა გონჯილაშვილი.

**ოთარ ცქვიტინიძის ფოტო.**

პირველ სახეობაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ერთ წამსაც (როცა გამარჯვების განმსაზღვრელი ჯარიმებთან ერთად სისწრაფეცაა) კონკურში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც დოღსა თუ სპორტის სხვა ცნობილ სახეობებში. მთელი მარშრუტი უშეცდომოდ მხოლოდ ორმა მონაწილემ გაიარა: სპორტსკოლის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვიქტორ გოგლიძემ (ცხენი — სპარტა) და თბილისის საცხენოსნო ბაზის ბერეიტორმა (ცხენის გაწვრთნის ოსტატმა), ზაზა გონჯილაშვილმა (ტეადორი), რომელმაც ერთი წამით უფრო ჩქარა გაიარა თავისივე შერჩეული მარშრუტი (ამ სახეობაში ყოველ მონაწილეს შეუძლია თვითონ შეარჩიოს სვლაგეზის ოპტიმალური ვარიანტი ყოველი დაბრკოლების დასაძლევად). მესამე იყო სპორტსკოლის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე ქელიძე (ხორსაჟი, 8 საჯარიმო ქუ-

იხ. მე-4 გვ.

# პირველი ოლიმპიური ჩემპიონი



**ამბობენ,** წლები ცვლის ადამიანებსო. დროთა განმავლობაში ადამიანი მართლაც იცვლება, ოღონდ უფრო ხშირად გარეგნულად, ხასიათსა და ჩვევებს კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებს.

სანამ სპორტში იყო, დავით ციმაკურიძეს პირდაპირი, უშიშარი და რისკიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გონივრული რისკი მეტ-ნაკლებად ყველა დიდი სპორტსმენის თვისებაა, მაგრამ დავითს ეს თვისება არტისტიზმის დონემდე ჰქონდა აყვანილი. ასეთი იყო მისი ხასიათი, შინაგანი ბუნება. ასეთია იგი დღესაც, ექვს ათეულ წელს გადაცილებული, ჯერ კიდევ მხნე ვაჟკაცი.

სპორტში დავითი ტანვარჯიშიდან მოვიდა, თანაც გზის დასაწყისში ჰყავდა ბრძენი აღმზრდელი და პედაგოგი არჩილ ბაქრაძე. დავითს ჰქონდა თანრიგი და შეეძლო კარგი ტანმოვარჯიშე დამდგარიყო, მაგრამ მწვრთნელმა ურჩია:

— ოჯახურ ტრადიციას გაჰყევ, შენი მონაცემებით და ხასიათით უსათუოდ დიდი მოჭიდავე გამოხვალ!

არჩილ ბაქრაძე გულთმისანი არ ყოფილა, მაგრამ მის სიტყვას მაგიური ძალა ჰქონდა. თანაც ნიჭის აღმოჩენა მისი მთავარი პროფესია იყო და დავითმაც დაუჯერა.

1940 წელს პროფესიული სარბიელი დატოვა დავითის მამამ, ცნობილმა და ხალხის საყვარელმა ფალავანმა მიშიკო მაჩაბელმა. სწორედ ეს კაცი ჰყავდა მხედველობაში არჩილ ბაქრაძეს, როცა დავითს ოჯახურ ტრადიციას ახსენებდა.

1940 წელს დავით ციმაკურიძემ მოკრძალებით შეაღო იმ საჭიდაო დარბაზის კარი, რომელსაც თბილისელები სიყვარულით „პეტრეს ცირკს" ეძახდნენ. ბედმა გაუღიმა, რომ დარბაზის შესასვლელში ამ „ცირკის პატრონი" პეტრე იორდანიშვილი დახვდა. პეტრემ ბევრი ლაპარაკი არ იცოდა, ყმაწვილი მოეწონა და პირდაპირ საქმეს შეუდგა. ასე ჩაეყარა საფუძველი ორი განსხვავებული ხასიათის, მაგრამ ერთნაირად მოაზროვნე ადამიანის მრავალწლიან მეგობრობას. პეტრე იორდანიშვილი კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტი იყო და თავის შეგირდს, ბუნებრივია, ამ ჭიდაობის მადლი დაანათლა. გივი კარტოზიას ხშირად უთქვამს, რომ ნებისმიერი სტილის მოჭიდავე, თუ კი დიდ სპორტში ცდილობს ადგილის დამკვიდრებას, კლასიკური ჭიდაობის ილეთებს ხუთი თითივით უნდა ფლობდესო. ამ ჭიდაობის ცოდნა დავითს დიდად გამოადგა.

თავისუფალი ჭიდაობა კი, როგორც დამოუკიდებელი სპორტული დისციპლინა, ჩვენში უფრო გვიან შემოვიდა. პირველი საკავშირო ჩემპიონატი ამ სახეობაში ომის დამთავრების შემდეგ გაიმართა. 1945 წელს ოქტომბერში ლენინგრადში ჩასვლა და იქ შეჯიბრებაში მონაწილეობა ბევრ ობიექტურ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ამის გამო დამფუძნებელი ჩემპიონატი მონაწილეთა სიმრავლით, მაინც და მაინც, არ გამოირჩეოდა. თანაც თავისუფალი ჭიდაობა ახალი ხილი იყო და ბევრ ახალგაზრდა მოჭიდავეს საბოლოო არჩევანი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობას შორის არ ჰქონდა გაკეთებული. ასე იყო თუ ისე, თბილისმა ნევის ნაპირებს ცხრა მოჭიდავე მიავლინა.

პირველი ჩემპიონატი, ყველასთვის მოულოდნელად, ჩვენი მოჭიდავეების სრული ტრიუმფით აღინიშნა. მჩატე წონაში ლეონიდ ძეკონსკიმ მეოთხე ადგილი დაიკავა (უფრო ადრე, 1935 და 1936 წლებში იგი უკვე იყო ქვეყნის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში). ქვემსუბუქში ჩემპიონი გახდა ვასილ ილურიძე. მსუბუქში კალე შეყრილაძე მეხუთე იყო. ასეთივე შედეგი ჰქონდა ქვესაშუალო წონაში ვახტანგ კუხიანიძეს. საშუალოში, ქვემძიმესა და მძიმე წონებში პირველი ადგილები დავით ციმაკურიძემ, ვალარშაკ მაჩკალიანმა და არსენ მეკოკიშვილმა დაიკავეს. საშუალო წონაში დავითის გარდა კიდევ ორი თბილისელი ათლეტი იბრძოდა. შოთა ესებუას მეორე ადგილი ხვდა წილად ციმაკურიძის შემდეგ, ივანე ალიხანოვს კი მეექვსე. გუნდური შედეგები მაშინ, სამწუხაროდ, არ შეუჯამებიათ, თორემ ქვეყნის პირველი ჩემპიონი უსათუოდ თბილისის ნაკრები გახდებოდა.

1947 წელს საბჭოთა მოჭიდავეებმა პირველად მოსინჯეს ძალები ევროპის სარბიელზე. ეს ბედნიერება, ბუნებრივია, წილად ხვდათ „კლასიკოსებს". პრაღის ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვეს ნიკოლოზ ბელოვმა (საშუალო წონა), კონსტანტინე კობერიძემ (ქვემძიმე) და იოჰანეს კოტკასმა (მძიმე). პირველი ოფიციალური დებიუტი და პირველი წარმატება! ამავე დროს აღიარება ევროპაში. საქმე იქით მიდიოდა, რომ ამ გამარჯვებას ახალი, კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამარჯვებები უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ... დრო იყო უმადური და სპორტი, ამ პერიოდში, პოლიტიკის დანამატს წარმოადგენდა. შეჯიბრებაზე გნებავდათ გამგზავრება? მიბრძანდით, ოღონდ გარანტია უნდა მოგვეცათ, რომ იქიდან უსათუოდ მედლებს ჩამოიტანდით. ომში გამარჯვებულ ქვეყანას არ ჰქონდა უფლება დამარცხებულიყო სპორტულ სარბიელზე. სწორედ ამ მიზეზით ვერ გაემგზავრა 1948 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე საბჭოთა დელეგაცია (გარანტიას, ცხადია, ვინ მისცემდა). სწორედ ამ მიზეზით დაიკარგა ოლიმპიური ჩემპიონის ბევრი მედალი. არა და დავით ციმაკურიძეცა და არსენ მეკოკიშვილიც ლონდონიდან უსათუოდ გამარჯვებული დაბრუნდებოდნენ. ეს უბრალო არითმეტიკა იყო. იმხანად მათი მჯობი მოჭიდავე არც ერთ ქვეყანას არ ჰყავდა.

სხვათა შორის, უაზრო გარანტიების პოლიტიკას ჩვენს სპორტში მეტად დიდხანს მიმართავდნენ. ზოგჯერ კი, დასამალი რაა, სპორტის მესვეურებიც ბევრს სცოდავდნენ. ჰელსინკის ოლიმპიადაზე, მაგალითად, ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია წაიყვანეს როგორც გუნდის სათადარიგო წევრები. მათ სერგეი რიბალკო და უკვე ასაკში შესული ნიკოლოზ ბელოვი ამჯობინეს. რიბალკომ ორი პირველივე შეხვედრა დათმო და ტურნირს ზედ სტარტზე გამოეთიშა. ბელოვმა კი დიდის გაჭირვებით ბრინჯაოს ჯილდო „დაითრია". არა და ამ დროს ბალავაძეცა და კარტოზიაც ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ობიექტურად მათ ერგებოდათ.

თუმცა, დავუბრუნდეთ დღევანდელი საუბრის თემას და გავიხსენოთ პირველი საკავშირო ჩემპიონატის დეტალები, იმ ჩემპიონატისა, რომელმაც დავით ციმაკურიძეს თავის ცხოვრებაში პირველი ოქროს მედალი მოუტანა. ჭიდაობის ცნობილი სპეციალისტი ბ. ჩესნოკოვი მაშინ წერდა: „შეჯიბრება საშუალო წონაში იმით იყო აღსანიშნავი, რომ სარბიელზე არ



სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ციმაკურიძე (მარცხნიდან) მამასთან, წარსულში ცნობილ ფალავან მიშიკო მაჩაბელთან.

გამოსულან კლასიკური ჭიდაობის ოსტატები. სამაგიეროდ, საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ეროვნული ჭიდაობის ორ დიდებულ მცოდნეს — დავით ციმაკურიძეს და შოთა ესებუას. ისინი ბრწყინვალედ ფლობდნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს, უჩვეულო ოსტატობით ხმარობდნენ ფეხს და ეს უპირატესობა ბოლომდე გამოიყენეს. ციმაკურიძე ჩემპიონი გახდა ორი საჯარიმო ქულით, მეორე ადგილზე გასულ ესებუას კი ექვსი საჯარიმო ქულა დაუგროვდა".

ვარდასულ დღეთა დეტალების გახსენებას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. პირველ ჩემპიონატში ციმაკურიძის გამარჯვება ჩესნოკოვმა „კლასიკოსთა" გამოუსვლელობით ახსნა, ოღონდ დავითსაც მისი წილი ქების სიტყვები მიაგო. მომდევნო ჩემპიონატებში კ. „ანალიტიკოსებს" უკვე აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი. ან კი რისი თქმა შეიძლებოდა, როცა დავითმა 1945 წლის წარმატება კიდევ ექვსჯერ გაიმეორა და, როგორც ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონმა, თავისებურად უნიკალური რეკორდი დაამყარა.

დიახ, ასეთი ლამაზი და ეფექტური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობას ბარე ორი თუ ჰყოლია. ზოგჯერ მას რომანტიკული სტილის მოჭიდავესაც უწოდებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. ხშირად იგი ბეწვის ხიდზე დადიოდა, ალესილი დანის პირზე „ცეკვავდა". ესეც სტილი იყო. ყოველ შემთხვევაში მისაწყენ, ერთფეროვან ბრძოლას ყველა ხერხითა და საშუალებით გაურბოდა. მოჭადრაკეების ენით რომ ვთქვათ, პოზიციის გართულების მიზნით ხშირად დავითი მსხვერპლსაც არ ერიდებოდა.

ამასთან დაკავშირებით ორ შემთხვევას შევახსენებთ.

1950 წელი, ტულა. VI საკავშირო პირველობა. ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, როგორც მაშინ წერდნენ: „საკმაოდ ძლიერ კომპანიაში აღმოჩნდა. შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორს ნიკოლოზ კომოვს უმაღლეს ჯილდოზე გამოკვეთილი პრეტენზიები ჰქონდა. ლეონ ხანტიმერიანი ამჯერადაც თავის ბედს ელოდა, ვინაიდან, როგორც ჩანს, მოსწყინდა ციმაკურიძის ჩრდილში ყოფნა. უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ ახალგაზრდა თაობის ოსტატები გიორგი როსტიაშვილი, სერგეი პრეობრაჟენსკი და ალექსანდრე დანელიანი"...

შვიდი წრის შემდეგ მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლას ორი ფავორიტი შემორჩა — ციმაკურიძე და ხანტიმერიანი. თანაც ჩემპიონს ხუთი საჯარიმო ქულა ჰქონდა, მის მეტოქეს კი მხოლოდ ორი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხანტიმერიანს ბრძოლის წაგება ქულებითაც შეეძლო. ერთადერთი შედეგი, რაც მას ხელს არ აძლევდა, წმინდა დამარცხება იყო.

მეექვსე წუთისთვის ციმაკურიძე კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა: ხანტიმერიანმა ორი მომგებიანი ქულა მიიღო. მეშვიდე წუთის დასაწყისში დავითმა ისევ ის ილეთი წამოიწყო, რამაც მეტოქეს ერთი წუთით ადრე, ასე საჭირო ქულები მოუტანა. ხანტიმერიანი მიხვდა, რომ ჩემპიონი ხაფანგს უგებდა, მაგრამ ცდუნება დიდი იყო და დაჰყვა მეტოქის ნებასურვილს. მოსახდენიც სწორედ მაშინ მოხდა. ილეთი, რომელმაც ჩემპიონს მეხუთე ოქროს მედალი მოუტანა, დავითს ადრე არასდროს არ გამოუყენებია... ამიტომაც ამბობდნენ მასზე: არ იყო ორდინარული მოჭიდავე, არავინ იცოდა როდის რას მოიმოქმედებდა, კრიტიკულ მომენტებში რისკიც იცოდა, მაგრამ ბედიც წყალობდაო. ბედი იმას, ვინც რისკზე მიდის ხოლმე, სხვათა შორის, მუდამ წყალობს. დავითმა წმინდად მოიგო ეს შეხვედრა და ჩემპიონიც გახდა.

1952 წელი. ჰელსინკი. XV ოლიმპიური თამაშები. ტურნირი დავით ციმაკურიძისთვის დრამატიულად დაიწყო — პირველ წრეშივე დამარცხდა შვედ ბენგტ ლინდბლადთან. გულახდილად რომ ვთქვათ, [illegible] შეხვედრა [illegible] კი იყო, მაგრამ [illegible] დავემ ვერ იჭნა და ვერ მოიგო [illegible] ხელოთ მეთოდე, რომელიც კი არ ჭიდაობდა, მხოლოდ ბრძოლის იმიტაციას ქმნიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მსახიობის ხელოვნებას კარგად იყო დაუფლებული და მსაჯებმაც სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, დაუჯერეს. ერთი სიტყვით ოლიმპიური ტურნირის დაწყება მარცხით, ფაქტიურად, კატასტროფას ნიშნავდა. ასე ფიქრობდა ყველა დავითის გარდა.

ახალი გეგმა ამ საბედისწერო მარცხის შემდეგ შეიმუშავდა. თუმცა აქ არაფერი იყო განსაკუთრებული ან საგანგებო. დავითმა უბრალოდ დაარწმუნა თავისი თავი იმაში, რომ, სულ ცოტა, ორი მომდევნო შეხვედრა მაინც წმინდად უნდა მოეგო. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდა ბრძოლის გაგრძელების უფლებას.

მისი მომდევნო მეტოქე ამერიკელი დან ხოჯი ფიზიკურად ძლიერი, გაბედული და ამტანი მოჭიდავე იყო. დავითის ხსნაც სწორედ ის გახლდათ, რომ მასავით უშიშარი პარტნიორი შეხვდა. პირველი ქულა აიღო ხოჯმა, მერე მას კიდევ ოთხი ქულა დაამატა. დავითის თანაგუნდელთაგან ზოგიერთმა ხალიჩას ზურგი შეაქცია და დარბაზიდან გავიდა. ასეთი უიმედო ბრძოლის შემობრუნება, თანაც ოლიმპიურ სარბიელზე, ზღაპარს გავდა. მით უმეტეს, რომ ამერიკელი უკვე როლში იყო შეჭრილი და ბრძოლის ადრე დამთავრებასაც ფიქრობდა. მაგრამ სწორედ აქ მოტყუვდა, როცა საკუთარი უძლეველობა ირწმუნა. დავითმა ისე, სხვათა შორის, წამოიწყო მორიგი ილეთი, სხვათა შორისვე შემოახვია თავისი ფეხი მეტოქეს, მერე მძლავრად დაქაჩა და ჰაერში აიტაცა. მეექვსე წუთის დამთავრებას ოციოდე წამი აკლდა, როცა ამერიკელი ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

ეგვიპტელი მოჰამედ ჰუსეინი უფრო მშვიდობიანად იყო განწყობილი და გართულებებს თავს არიდებდა. დავითმა პირველივე შეცდომა არ აპატია მას და ბრძოლა მეორე წუთზე დაამთავრა. ორი წმინდა გამარჯვება სიმტკიცის გურკვეული მარაგი იყო და შემდგომ ბრძოლაში უნგრელ გეორგ გურიჩთან ქულებით გამარჯვებას დასჯერდა.

...ერთი წლით ადრე ახალგაზრდა ირანელმა მოჭიდავემ გოლემია რეზა ტახტიმ მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიგო. ჰელსინკში იგი ოლიმპიური ოქროს მისაღებად ჩავიდა. ამას არც თვითონ მალავდა და არც გუნდის მწვრთნელი. ტახტი რომ სერიოზულად იყო განწყობილი, მისი ბრძოლებიდანაც ჩანდა — ოთხი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. ფინალში გავიდა დავით ციმაკურიძეც. ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი ღირსეული მეტოქე, უმაღლესი ჯილდო კი, მოგეხსენებათ, ერთი იყო.

ობიექტურად ტახტი უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 23 წლის მოჭიდავეს წინ ჰქონდა ყველაფერი, ოლიმპიურ ჩემპიონობას ოთხი წლის შემდეგაც მოასწრებდა. დავითი კი 28 წლისა იყო: ესე იგი მისი კურთხევა ოლიმპიურ ჩემპიონად ან ჰელსინკში უნდა მომხდარიყო ან... არასდროს.

ზემოთ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, კრიტიკულ სიტუაციებში დავითს ბედიც წყალობდა ხოლმე. სწორედ ბედის წყალობა იყო, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში უშიშარი და ბრძოლას მოწყურებული მეტოქე შეხვდა. ფინალი მართლაც დიდებული სანახავი გამოდგა. შეტევა შეტევას ცვლიდა, ილეთი — ილეთს, მსაჯები ქულების დათვლას ვერ ასწრებდნენ. ბოლოს, როცა დრო დამთავრდა, შეაჯამეს შედეგები და ქართველ მოჭიდავეს აუწიეს ხელი გამარჯვების ნიშნად. ეს მართლაც ღირსეული გამარჯვება იყო. დავით ციმაკურიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, საქართველოს სპორტსმენთა შორის პირველი, რომელსაც ეს უმაღლესი ტიტული მიენიჭა.

**ნოდარ ბუზუშვილი.**



ასე უმოწყალოდ უსწორდებოდა ხარბიელზე დავით ციმაკურიძე თავის მეტოქეებს.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

# I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „კახეთი" (თელავი) 2:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჩხეტია, ქარჩავა („სამეგრელო"), ჰვრიტიძე, მალუტაშვილი („კახეთი").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისათვის გააფრთხილეს ვ. გაგნიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — მ. ბიწკინაშვილი (ორივე — „კახეთი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ე. გაგნაშვილი („ბახტრიონი"), ბურთის განზრახ გადაგდებისთვის ასევე გაფრთხილებულია ე. შონია (ფიზკ. ინსტიტუტი).

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:1. მსაჯი ზ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: ქორქია, კიურჯიევი, პეტრიაშვილი (თბილისი), ჩინჩალაძე („საპოვნელა").

**„სიონი" (ბოლნისი) — „იმერეთი" (ხონი) 2:1. მსაჯი მ. მალადურაძე (თბილისი).** გოლები: ა. უგულავა, ი. ჯაგოვი („სიონი"), დ. კუხალაშვილი („იმერეთი").

**„სულორი" (ვანი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:1. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა).** გოლები: გ. ვერულაშვილი, ჯ. ვერულაშვილი („სულორი"), გ. ბექანიშვილი („არაგვი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „მალაროელი" (ჭიათურა) 3:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ზარქუა, მორგოშია, გეთია („სქური"), ბრეგვაძე („მალაროელი").

**„არმაზი" (მცხეთა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).** გოლი: ხუცურაული („არმაზი").

**„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლი: კიკნაძე („მარგვეთი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლი: ბაწაშვილი („ალაზანი").

**„დინამო" (გაგრა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 5:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).**

# ცალმხრივი მოძრაობა

**საბჭოთა** პრესაში ბოლო ხანს ხშირად იბეჭდება ცნობები იმის თაობაზე, რომ მრავალმა საბჭოთა სპორტსმენმა ოფიციალური საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე უცხოეთის პროფესიულ კლუბებში დაიმკვიდრა ადგილი, ასეთთა შორის არიან ველოსიპედისტები, ჩოგბურთელები, მოკრივეები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, ჰოკეისტები, ფიგურული ციგურაობის ოსტატები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. მათ შორის განსაკუთრებით მრავლად არიან ფეხბურთელები, რომლებიც, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, უცხოეთის ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ კლუბებში მიემგზავრებიან სათამაშოდ.

საკითხავია, რამ გამოიწვია ასეთი ბუმი, რატომ ტოვებს სამშობლოს, რატომ მიდის საბჭოთა ფეხბურთელი უცხოეთში? ისინი ხომ, როგორც უწინ წამდაუწუმ გვეჩიჩინებოდნენ, მუდამ გამოირჩეოდნენ უმაღლესი პატრიოტიზმით, სამშობლოს სიყვარულით. რა თქმა უნდა, ყოველი მაღალი კლასის სპორტსმენი ზრუნავს საკუთარი პროფესიული სპორტული დონის ამაღლებაზე, ოცნებობს დიდ საერთაშორისო სარბიელზე, საყოველთაო აღიარებაზე და ა. შ. არავისთვის უცნაურობა არაა, რომ თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი დიეგო მარადონა არგენტინიდან ჯერ ესპანეთში, მერე იტალიაში ისე გადაბარგდა, რომ უკან არც მოუხედია. საერთოდ იშვიათია მაღალი კლასის, ძლიერი პროფესიული კლუბი, რომელსაც უცხოეთში შეძენილი ფეხბურთელი არ ჰყავდეს. საქმე აქ მარტო ის კი არაა, რომ რომელიმე კლუბს, ვთქვათ, მეკარე აკლია და საჩქაროდ მაინცდამაინც კარის დარაჯს ეძებს, თუნდაც, სადღაც ცხრა მთას იქით. ეს თავისთავად. ყოველ პროფესიულ კლუბს თავისი საკუთარი ფინანსური მექანიკა აქვს და შეუცდომლად იცის, რომ თუ მან, ვთქვათ, დიეგო მარადონა 10 მილიონ დოლარად შეიძინა, რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ 10 მილიონ დოლარს აინაზღაურებს დიდი მოგებით, თვითონაც ისიამოვნებს და თავის გულშემატკივრებსაც სიხარულს მოჰგვრის.

ზედმეტად მიგვაჩნია უცხო ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელთა ჩამოთვლა, ვინაიდან ასეთთა რაოდენობა უთვალავია. განსაკუთრებით ფასობენ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები — ბრაზილიელები, არგენტინელები, ურუგვაელები, ისინი ფუტკრებივით მოედვნენ ევროპას, თვით ძველ კონტინენტზეც განუწყვეტელი მოძრაობაა კლუბიდან კლუბში, ქვეყნიდან ქვეყანაში. ერთობ ბევრია მიწვეული მოთამაშე იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ხელიდან ხელში გადადიან ჰოლანდიელი, შვედი, დასავლეთგერმანელი, ნორვეგიელი, დანიელი, ირლანდიელი და სხვა ქვეყნების ფეხბურთელები.

საბჭოთა ფეხბურთელის უცხოეთში გადასვლა ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენში სიზმრადაც არავის დაესიზმრებოდა. კარგად გვახსოვს, როცა „იზვესტიამ" ერთხელ სპარტაკელი ფ. ჩერენკოვის უცხოეთის კლუბში გადასვლის საქილიკო ცნობა გამოაქვეყნა საპირველაპრილო ნომერში, ყველანი გაოცებულნი დავრჩით — ეს სადაური ხუმრობააო! მაგრამ, როგორც ხედავთ, მარადიული არაფერია, ყველაფერი იცვლება, და იმ დროსაც მოვესწარით, როცა საბჭოთა ფეხბურთელები უკვე არა აქა-იქ, არა ერთეულების სახით, არამედ მასობრივად, ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან უცხოეთის კლუბებში.

და არც ისაა დასამალი, რომ თავის გამოჩენისა და ფართო სპორტული ასპარეზის დამკვიდრების, სპორტული დონის ამაღლების გარდა ამ ფეხბურთელებს უკეთესი ეკონომიკური პირობებიც იზიდავს. ახალგაზრდა კაცი თავის სამშობლოს და ოჯახს რომ დატოვებს, უცხო ქვეყანაში რომ გადაინაცვლებს, სადაც არც იქაური ენა იცის, არც ადათ-წესები და ჟესტიკულაციით თუ ელაპარაკება თანაგუნდელებს და მწვრთნელს, ამას იგი თავისი შრომის უკეთესი ანაზღაურებისთვის თუ გააკეთებს. ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ ეკონომიკა მუდამ უპირველესი საზრუნავია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა გაზეთებმა („იზვესტია", „კომსომოლსკაია პრავდა", „არგუმენტი ი ფაქტი", „სოვეტსკი სპორტი", „ტრუდი" და მრავალი სხვა) გამოაქვეყნეს იმ საბჭოთა მწვრთნელების, სპეციალისტებისა და ფეხბურთელების სია, რომლებიც უცხოეთის ქვეყნებში საქმიანობენ და თამაშობენ.

გადავხედოთ ამ სიას. უცხოეთის ათეულ ქვეყანაში 30-ზე მეტი მწვრთნელი მუშაობს. ჯერ მარტო ალჟირში საქმიანობენ ემტრეკოვი, იკრამოვი, ბელოუსოვი, არზამასცევი, ბელოვი, ზაიცევი, ბისტროვი, პერფილიევი, გოლოვკო, აფონინი, შუბინი, ოსტროუშკო. ერაყის საფეხბურთო ფედერაციასთან კონტრაქტი აქვთ დადებული სკრედელისს, ინოიატოვს, კოსტინს, ზოლკინს, ტუნისში იმყოფებიან ტუაევი და როჟკოვი, სირიაში — აზარენკოვი და იბრაჰიმოვი, კამერუნში — ბროვარსკი და ნეპომნიაშჩი, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში — იგნატიევი, კისელიოვი და სმირნოვი, ისლანდიაში — ვარლამოვი, მაროკოში — სევასტიანოვი, მალიში — რაზუმოვსკი, სეიშელის კუნძულებზე — პრიბილოვსკი, ინდონეზიაში — პოლოსინი და იურინი. შესაძლოა, ეს სია სრულიც არაა და ამ ბოლო ხანებში კიდევ რამდენიმე ჩვენი სპეციალისტი გაუდგა შორეულ გზას დოლარების ქვეყნებში.

ეს — მწვრთნელები, ახლა — ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ.

ყველამ იცის, რომ თბილისის „დინამოს" მოთამაშეები თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია ერთხანს შვეციის კლუბში გამოდიოდნენ, მაგრამ კონტრაქტის ვადა გაუთავდათ და ორივე თბილისში დაბრუნდა. ს. შავლო ახლაც ავსტრიაში იმყოფება, ლ. ბურიაკი, ბ. ჩუხლოვი, ა. დავიდოვი, ვ. მოროხინი — ფინეთში, ვ. ხიდიატულინი, ა. ბუბნოვი და გ. მხითარიანი — საფრანგეთში, ა. ზავაროვი და ს. ალეინიკოვი — იტალიაში, ს. პრიგოდა, ს. ანდრეევი, ი. პონომარიოვი, ვ. ევტუშენკო, ვ. ხლუსი, ა. გალიაბა, ვ. პეტრაკოვი, რ. ჰასანოვი, ნ. ლარიონოვი, ი. ჟელუდკოვი — შვეციაში, რ. დასაევი — ესპანეთში, ი. ვიშნევსკი — თურქეთში, ვ. რასიუკასი, ს. იაკუბაუსკასი, ი. ბელანოვი, ს. გორლუკოვიჩი, ა. ბოროდიუკი, ვ. პასულკო, ვ. ლიუტი, ე. შახოვი — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ს. ბალტაჩა, ს. გოცმანოვი — ინგლისში, ი. ჟეკოუ, ო. ტარანი — მაროკოში, ს. ბარანაუსკასი — ისრაელში, ს. ოსიპოვი — ბულგარეთში, ვ. კარატაევი — ბელგიაში, ვ. ლოსევი — დასავლეთ ბერლინში. შესაძლოა, არც ეს სია გახლავთ სრული, ვინაიდან ახალ-ახალი კონტრაქტები თითქმის ყოველ დღე ფორმდება.

ოლეგ ბლოხინი საკმაო ხანს ავსტრიაში იმყოფებოდა, მერე კიპროსზე გადაინაცვლა, მაგრამ შინ კი არ დაბრუნდა. რატომ? რატომ და, ავსტრიაშიც და კიპროსზეც ფეხბურთელს მეტს უხდიან, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ახლა, სამაგიეროდ, ისა ვთქვათ ვის ვიწვევთ საბჭოთა კავშირში? ვინაა ისეთი გამოჩენილი ფეხბურთელი, რომელსაც სურვილი აქვს ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში და თავისი მაღალი კლასით, კარგი თამაშით სიამოვნება მოჰგვაროს ჩვენს მაყურებლებს? ასეთი სურვილით ატაცებულ პროფესიონალს, რაღაც ვერ ვხედავთ. სულ ახლახან გაზეთებს მოედო ცნობა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ შესაძლოა კონტრაქტი დადოს ამერიკის კლუბ „ორლანდო ლაიონზის" 25 წლის ფეხბურთელთან დეი[illegible] ჯერ ერთი, ეს „შესაძლოა" ჯერ კიდევ არ ნიშნავს „ლოკომოტივისა" და ამერიკელი ფეხბურთელის ერთობლივ საბოლოო გადაწყვეტილებას, და მეორეც: ვინ არის დეილ მალჰოლანდი? ასეთი ფეხბურთელი, მართალი გითხრათ, ჯერ არ გვსმენია და, საერთოდ, რამდენადაც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთი არ დგას ისეთ დონეზე, რომ აქაურმა მოთამაშემ საგანგებო ყურადღება მიიპყროს. ცხადია, რომ საბჭოთა კლუბმა მიიწვია სრულიად უცნობი, მეორეხარისხოვანი ფეხბურთელი, რომელიც მაყურებელს არაფრად არ აინტერესებს. დ. მალჰოლანდს არ მიიწვევენ არც იტალიაში, არც ესპანეთში, არც საფრანგეთში. ვის რად უნდა მალჰოლანდი?!

ასეთი მეორეხარისხოვანი ფეხბურთელები საბჭოთა კლუბებს შარშან უკვე ჰყავდათ. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" ბულგარეთიდან მიიწვია ფეხბურთელი, რომელსაც ხეირიანად არც უთამაშია, ისე გაბრუნდა უკან. ამის შემდეგ დუშანბეს „პამირმა" აფრიკიდან ასევე სრულიად უცნობი ზანგები დაიბევა, მათაც ერთი-ორი მატჩი ითამაშეს და შინისკენ გაბრუნდნენ აფრიკაში. ეტყობა, ბულგარელ და აფრიკელ ფეხბურთელებსაც კი ხელს არ აძლევთ ჩვენს კლუბებთან დადებული კონტრაქტები და ისინიც ცდილობენ საჩქაროდ უკანვე „მოუსვან".

ამ წერილიდან დასკვნის გამოტანა სულ იოლად შეიძლება: არა გვაქვს ისეთი მატერიალური პირობები, ხელსაყრელი კონტრაქტები, რომ რამდენადმე მაინც ცნობილმა ფეხბურთელმა ისურვოს საბჭოთა კავშირის კლუბში თამაში. და ეს მაშინ, როცა უცხოეთს მიემგზავრებიან ჩვენი ისეთი გამოჩენილი მოთამაშეები, როგორებიც არიან რ. დასაევი, ო. ბლოხინი, ა. ზავაროვი, თ. სულაქველიძე, რ. შენგელია, ს. ალეინიკოვი, ვ. ხიდიატულინი, ა. ბუბნოვი, ვ. ევტუშენკო და მრავალი სხვა. ფეხბურთელს კლასის ამაღლებაც აინტერესებს ცნობილ პროფესიულ კლუბში და, ამავე დროს, უკეთესი ეკონომიკური პირობების შექმნაც სურს. სწორედ ამიტომაა, რომ ასეთი ცალმხრივი საფეხბურთო მოძრაობა გვაქვს: ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები ერთთავად საზღვარგარეთ გარბიან, უცხოეთიდან კი აქ, ნურას უკაცრავად, კარგ ფეხბურთელს ვერაფრით ვერ ჩამოიტყუებ.

რას იზამ, ფეხბურთი და ეკონომიკა მჭიდროდ არის ერთმანეთს გადახლართული.

**რ. ქორიძე.**

# იტალია -90



## არბიტრები ემზადებიან

**მარტის** დასასრულს 34 ქვეყნის 41 არბიტრი შეიკრიბა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის საგანგებო სემინარზე იტალიის ქალაქ ტირენიაში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამგვარი სემინარი მოეწყო. მას სათავეში ედგნენ ფიფა-ს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ჰარი კავანი (ჩრდილოეთ ირლანდია) და გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი (შვეიცარია). შეკრების მთავარი მიზანი იყო არბიტრთა შორის თამაშის წესების ერთიანი კონცეფციის გამომუშავება, პრაქტიკული საქმიანობის გარდა განიხილეს მრავალი სასწავლო ვიდეოფილმი.

ფეხბურთის მსაჯობის პრაქტიკაში შეტანილია რამდენიმე ცვლილება. ასე, მაგალითად: აუტის შემოგდების დროს ბურთის შემომგდები მოთამაშის წინ აკრძალულია მეტოქე გუნდის წევრის ყოფნა, მკაცრად უნდა იქნას დაცული წესებით დადგენილი მანძილი. არბიტრებს დაევალათ დააჯარიმონ ფეხბურთელები, თუკი ისინი ზედმეტ ემოციებს გამოავლენენ გოლის გატანისას მინდვრის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, დააჯარიმებენ ფეხბურთელებს, რომლებსაც ტრუსებს ზევით აქვთ ამოჩაჩული მაისური, ან ჩაშვებული გეტრები.

საგანგებო ყურადღება მიეპყრო უხეშობასთან ბრძოლას, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ამის თაობაზე ამთავითვე საგანგებო ზომებს მიმართავს.

მსოფლიო ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა ხელმეორე შემოწმება მოხდება 4 ივნისს, დაწუნებულ მსაჯებს დაუყოვნებლივ შეცვლიან სათადარიგოები.

## ჩემპიონატის წინ

**ლონდონი.** მსოფლიო ჩემპიონები არგენტინელი ფეხბურთელები ჩრდილოეთ ირლანდიის ნახევრად პროფესიულ გუნდს „ლინფილდს" შეხვდნენ, ჩემპიონებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მიაღწიეს გამარჯვებას — 1:0. ბურთი მე-4 წუთზე გაიტანა ლორენსომ.

**ჟენევა.** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის II ჯგუფში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქე რუმინეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა შვეიცარიის ეროვნულ გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 1:2.

28-ე წუთზე დაწინაურდნენ რუმინელები (თერთმეტმეტრიანი გაიტანა ტაჯმა), ტაიმის ბოლო წუთზე ჰერმანმა ანგარიში გაათანაბრა, შესვენების შემდეგ კი შასომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**რომი.** იტალიის ნაკრების თითოეული მოთამაშე ნახევარ მილიარდ ლირას (385 ათასი დოლარი) მიიღებს, თუ გუნდი მსოფლიო ჩემპიონობას მოიპოვებს. ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა იტალიის ფეხბურთის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზიმ.

## ცვლიან მწვრთნელებს

**იტალიური** ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში მოსალოდნელია ცვლილებები, ზოგიერთი მათგანი საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევს.

ასე, მაგალითად, ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელს სებასტიან ლაზარონის გადაწყვეტილი აქვს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სათავეში ჩაუდგეს იტალიის „ფიორენტინას". ბრაზილიელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ამას გააკეთებს, თუ კი „ფიორენტინა" უმაღლეს ლიგაში დარჩება. სავარაუდოა, რომ ს. ლაზარონი კლუბში მარტო არ მოვა, მას თან წამოყვებიან ნაკრების ფეხბურთელები ბისმარკი და ალდაირი.

ახალი მწვრთნელი ეყოლება „პიზასაც", რომელიც, ალბათ, წლეულს დაუბრუნდება ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას. „პიზას" უხელმძღვანელებს ბუქარესტის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი მირჩო ლუჩესკუ.

## ეპატიჟებიან იოჰან კრუიფს

**საერთაშორისო** ფეხბურთში დიდად გახმაურდა საქმე იმის თაობაზე, რომ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ნაკრების ხელმძღვანელის პოსტიდან გაათავისუფლოს უფროსი მწვრთნელი ტიიტ ლიბრეჰტსი და მის ნაცვლად მიიწვიონ სხვა სპეციალისტი, კერძოდ, იოჰან კრუიფი.

ტიიტ ლიბრეჰტსმა სასამართლოს მიმართა, ვინაიდან კონტრაქტი მას ივლისამდე აქვს. სასამართლოს განაჩენი ჯერ არ ვიცით, ის კი ცნობილია, რომ ი. კრუიფმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა, შემდეგ ჰოლანდიის რადიოთი თქვა: „მზად ვარ ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ეროვნულ ფედერაციასთან".

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიის ნაკრების 15 ფეხბურთელიდან ცხრა წამყვან მოთამაშეს სურს იოჰან კრუიფი მწვრთნელად იხილოს.

## დავა სტადიონის თაობაზე

**საფრანგეთის** ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სურვილი აქვს პარიზის მახლობლად ბუა დე ვენსენში აგოს ახალი გიგანტური სტადიონი 80 ათასი მაყურებლისთვის.

ახალი სტადიონის აგებით საფრანგეთის სპორტის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ განიმტკიცებენ 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობას.

მაგრამ ფრანგული სპორტის ხელმძღვანელობას უკვე ახლა სერიოზული დავა აქვს ბუა დე ვენსენის მაცხოვრებლებთან, რომლებიც ასეთი ხმაურიანი მეზობლობის წინააღმდეგნი არიან.

## ევროპულ საკლუბო თასებზე

**პარიზში** შედგა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასების პირველი ნახევარფინალური მატჩი საფრანგეთის „მონაკოსა" და იტალიის „სამპდორიას" შორის. ფრე — 2:2. „მონაკოს" მხრივ ბურთები გაიტანეს უეამ და მეჟმა, ხოლო იტალიელთაგან — ნაკრების მოთამაშე ვიალიმ.

ბრემენში გაიმართა უეფა-ს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი დასავლეთ გერმანიის „ვერდერსა" და იტალიის „ფიორენტინას" შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. დაწინაურდნენ იტალიელები (ნაპი), მაგრამ თამაშის ბოლოს, 90-ე წუთზე ლანდუჩიმ საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

## I ლიგა

**დაიწყო** I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება: „ტირასი" (ტირასპოლი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:2, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 0:0.

# ჩემპიონი — ახალი, პრობლემები — ძველი

(დასასრული)

ლა), რომელმაც ასევე სისწრაფით მოუგო ჩოხატაურელ სერგო ჩიგოგიძეს (კოსმოდრომი).

ამორჩევით კონკურში დადებითი ქულების მაქსიმუმი დააგროვა საცხენოსნო ბაზის მეორეთანრიგოსანმა, 17 წლის ზურაბ ლაზარაშვილმა (88, ცხენი — ექსუდატი), II იყო ოსტატობის კანდიდატი ხვიჩა ტუსიშვილი (84, ქსარი), III — სპორტის ოსტატი კახაბერ კიკიანი (62, დევიზი). სამივე პრიზიორი საცხენოსნო ბაზის სპორტსმენია. წინა დღეს გამარჯვებულმა გონჯილაშვილმა IV ადგილი დაიკავა (60).

„თბილისის თასის“ ასპარეზობაში კარგი სტილით გაიმარჯვა კიკიანმა (81 წმ; 4 საჯარიმო ქულა), II ადგილზე გავიდა გონჯილაშვილი (76; 8), III-ზე — ტუსიშვილი (90; 15).

სამი შეჯიბრების ჯამით თბილისის წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ზაზა გონჯილაშვილი, მომდევნო ადგილებზე არიან კახაბერ კიკიანი და ხვიჩა ტუსიშვილი. რესპუბლიკური სპორტსკოლის აღზრდილმა ახალმა ჩემპიონმა შარშან შემოდგომის მიწურულს დაამთავრა სამხედრო სამსახური. იგი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო მიწვეული საკავშირო ასპარეზობისათვის, მაგრამ (რადგან დიდი ხნით მოწყვეტილი იყო ცხენს) ძირითად შემადგენლობაში არ შეუყვანიათ და, ამდენად, ვერაფრით დაეხმარა თავის გუნდს; მაგრამ შარშანვე, ე. წ. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების XXXII საკავშირო შეჯიბრებაზე, სტიპლ-ჩეიზში, კრასნოდარის პრიზი მოიპოვა. (გალის რაიონის საცხენოსნო კლუბის ცხენით). 20 წლის მრავალმხრივ მხედარს ვუსურვოთ უფრო ძნელ და მნიშვნელოვან ასპარეზობებზე გაეზარდოს თბილისის ჩემპიონის ტიტულის ფასი...

საქართველოში, კერძოდ, თბილისში, საცხენოსნო შეჯიბრებათა ორგანიზაცია, სამწუხაროდ, ხშირად თვით ამ ასპარეზობათა საერთო კლასსაც ჩამორჩება. ჩვენ ველით ამ დარგის სპეციალისტების გულახდილ, საქმიან საუბარს, ჩვენი ცხენოსნებისათვის ამჟამად ყველაზე ძნელი (?!) დაბრკოლების გადასალახავად რომ იქნება მიმართული, და ამიტომ მრავალგზის ნათქვამის გამეორებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. ოღონდ ერთზე კი გავამახვილებთ ყურადღებას: მისახედია საცხენოსნო ასპარეზი, ორივე საკონკურო მოედანი. 1987 წელს, როცა ზემოაღნიშნული საკავშირო შეჯიბრება (საიუბილეო, XXX) თბილისში ჩატარდა, ახლად გამართული მოედნის ქება საკავშირო სპეციალურმა ჟურნალმაც კი არ დაიშურა („მხედრებისათვის ძვირფასი საჩუქარიაო“, „ერთი ცხენიც არ დაშავებულაო“. არადა ამ შეჯიბრებაზე, კონკურში, 170 სმ სიმაღლე დაძლიეს გამარჯვებულებმა). მაგრამ გავიდა დრო, საბურთალოს ქარებმა გახვეტეს რბილი ქვიშა (ასეთ მოედანს კი იხეთივე ყოველდღიური მოვლა სჭირდება, როგორც, ვთქვათ, ჩოგბურთის კორტს). მართალია, ახლახდელი შეჯიბრების ორგანიზატორებმა მოამზადეს ასპარეზი: დაფარცხეს, მორწყეს კიდეც, შემდეგ წვიმაც მიეშველათ, მაგრამ ცხენოსნობა მხოლოდ რამდენიმედღიანი ასპარეზობით ხომ არ ამოიწურება! ჰოდა, როდესაც მწვრთნელს თავისი აღსაზრდელი ცხენ-მხედრის კარგი ნახტომი კი აღარ ახარებს, არამედ გული ეკუმშება, როდესაც უძვირფასესი ბედაური გაქვავებულ, ოღროჩოღრო გრუნტს ასკდება, ცხადია, მაღალი შედეგების იმედი აღარც უნდა გვქონდეს. შედეგი კი არა, ცხენს მუხლები, მხრები თუ შერჩა, ისიც ღვთის წყალობა იქნება.

ამაზეც გვმართებს დაფიქრება და, რაც მთავარია, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა.

**ნოდარ ებრალიძე.**

# არა მარტო პრეზიდენტობა

**ფრაკი** თუ მკაცრი კოსტუმი გულმოდგინედ შერჩეული ჰალსტუხით. ლათინური ამერიკის პოლიტიკური უნიფორმა კი ქათქათა, გრძელი, მუხლებამდე ამოშლილი პერანგი გუაიაბერაა. ასეთად ყავდათ წარმოდგენილი აქამდე პრეზიდენტები ამერიკის კონტინენტზე. ერთფეროვნებას ერთგვარად არღვევდა რონალდ რეიგანის „კოვბოის“ შლაპა. მაგრამ, ტელევიზორის ეკრანზე დაღლილი, ოფლში გახვითქული, სპორტულ ტრუსებსა და მაისურში ჩაცმული სახელმწიფო მეთაური რომ გამოჩნდებოდა ხოლმე... ეს უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო.

თუმცა, ამჟამად დიდი პოლიტიკა ახალ სამყაროში სულ უფრო ინაცვლებს ადგილს ცივი რეზიდენციებიდან სპორტულ მოედნებზე. მთელი მსოფლიო შემოიარა საფეხბურთო მატჩის კადრებმა, რომელშიც ერთ-ერთ ნახევარმცველად არგენტინის პრეზიდენტი კარლოს საულ მენემი მოგვევლინა. მექსიკის პრეზიდენტი კარლოს სალინას დე ჰორტარი კი მარათონით არის გატაცებული და ეს არც არის გასაკვირი, რადგან სტუდენტობის წლებში ქვეყნის ნაკრებშიც კი ირიცხებოდა. ამის გარდა სალინასი დიდი მოყვარული გახლავთ ცხენოსნობისა და წყალში ხტომისა. ურუგვაის პრეზიდენტი ხულიო მარია სანგინეტი ჩინებული მოცურავეა, მისი გვატემალელი კოლეგა ვინისიო სერესო ხშირად არის ჩოგბურთის კორტზე. ახლახანს მან გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო ჰონდურასის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლოს ლოპესს.

ცნობილია, რომ კუბის ხელმძღვანელის საყვარელი სპორტული სახეობაა წყალქვეშა ნადირობა. მაგრამ, ცოტამ თუ იცის, რომ იგი ახლაც ჩინებულად ტყორცნის ბურთს კალათში, საკმაოდ არის გათვითცნობიერებული და დიდად აფასებს კალათბურთს.

კოსტა-რიკის პრეზიდენტი ოსკარ არიასი ძველი თაყვანისმცემელია აღმოსავლური ორთაბრძოლებისა, ამასთან, თავისი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კარატისტია. სალვადორის ლიდერი ალფრედო კრისტიანი ბრწყინვალე კალათბურთელია. ჯორჯ ბუში ახლაც ბევრ უსიამოვნებას აყენებს მეტოქეს ჩოგბურთის კორტზე, გატაცებულია თევზაობით, კეტბურთით და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში გავრცელებული სპორტული შეჯიბრებით — ნალის სროლით.

სპორტი არა მარტო ფორმის შენარჩუნებას უწყობს ხელს, არამედ ნათლად წარმოსახავს პრეზიდენტთა „გუნდის“ ჯანმრთელობასაც.

მოამზადა **ბელა ჯილაურმა.**

# ჯერჯერობით ვუნდერკინდი

**„მიეცით მას ჩოგანი და ეს უწყინარი მერვეკლასელი გოგონა ნამდვილ მებრძოლად გადაიქცევა“.** „ჯენიფერი ისეთივეა, როგორც შტეფი გრაფი, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი, ვიდრე გრაფი ამ ასაკში იყო. იგი დაუნდობელია, როგორც ალ კაპონე და „ცივი“ როგორც „მანქანა“. — ასეთ შეფასებას აძლევენ ამერიკელ ჩოგბურთელს ამომავალ ვარსკვლავს ჯენიფერ კაპრიატის, რომელსაც 29 მარტს 14 წელი შეუსრულდა. „არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული დროის შემდეგ იგი მსოფლიოში პირველი ჩოგანი გახდეს. 1,69 სმ სიმაღლის ჩოგბურთელს ყველა პირობა აქვს“. ეს სიტყვები კი ეკუთვნის მსოფლიოს ამჟამინდელ პირველ ჩოგანს დასავლეთგერმანელ შტეფი გრაფს.

საჩოგბურთო სამყარო ჯენიფერ კაპრიატიზე ამ ცოტა ხნის წინათ ალაპარაკდა, როდესაც მან „გრან პრის“ სერიის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე ბოკა რატონში (აშშ) ფინალამდე მიაღწია და მხოლოდ აქ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა (4:6, 5:7) არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან, რომელიც უძლიერესთა შორის მესამე ადგილზეა მსოფლიო კლასიფიკაციაში.

მაგრამ უმჯობესია გადავხედოთ მის სავიზიტო ბარათს და დავინახავთ, რომ იგი არც თუ ისე ახალბედა გახლავთ. შარშან გაიმარჯვა აშშ-ის პირველობაზე 18 წლის ასაკამდე გოგონათა შორის ბალახიან და ხისტსაფარიან კორტებზე. ფინალურ შეხვედრებში კაპრიატიმ ჯერ დაამარცხა 17 წლის, ხოლო შემდეგ 18 წლის მოწინააღმდეგეები. პარიზში გამართულ იუნიორთა პირველობაზე მან კვლავინდებურად წარმატებას მიაღწია.

ჯენიფერ კაპრიატის მწვრთნელი და მენეჯერია მისი მამა, 54 წლის შტეფანო კაპრიატი. იგი წარმოშობით იტალიელია, რომელმაც საჩოგბურთო კარიერა 20 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც ესპანეთში გადასახლდა და კინოს მეშვეობით გარკვეული თანხაც შეაგროვა. „მერწმუნეთ, რომ ვიცი თუ რა არის წარმატება და რა არის წარუმატებლობა. იმის მომხრე არა ვარ, რომ, თანხების მოგების მიზნით, სპორტსმენი ერთი ცენტრიდან მეორე ცენტრში ჩასვლას ვერ ასწრებდეს. ჯენიფერი თანდათანობით უნდა განვითარდეს და მსგავსად შტეფი გრაფისა, წლის განმავლობაში მხოლოდ თორმეტ ტურნირში გამოვიდეს“. სხვათა შორის, 5 წლის ჯენიფერს ფორტ ლაუდერდალეში ავარჯიშებდა კრის ევერტის მამა — ჯიმი. და კიდევ ერთი გარემოება — საჩოგბურთო კანონით ტურნირებში მონაწილეობის უფლება სპორტსმენს 14 წლის ასაკიდან ეძლევა. როგორც ჩანს, ჯენიფერ კაპრიატის და მისი პირველი მწვრთნელის ურთიერთობამ ხელი შეუწყო 13 წლის სპორტსმენი გოგონას გამოსვლას მოზრდილთა ტურნირზე...

ვის არ უოცნებია ამ ასაკში მიიღოს შეიძნიშნა თანხა. ეს შეძლო სედლერბრუკში (ფლორიდა) მცხოვრებმა ჩოგბურთის ახალ ვუნდერკინდად მონათლულმა ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ, რომელმაც ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ერთ-ერთ ტანსაცმლის ფირმასთან (10 მილიონი დოლარი) და ცნობილ მუსიკოს შემსრულებელ პრინსთან სამწლიანი კონტრაქტით იგი 2 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს...

**მალხაზ რადიანი.**

**„სპორტპროგნოზი“, მე-15 ტირაჟის პროგრამა (14-15 აპრილი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — ცსკა | 14.IV | 10 | 60 | 30 |
| 2. „დინამო“ (მინსკი) — „არარატი“ (ერევანი) | 14.IV | 70 | 20 | 10 |
| 3. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 14.IV | 20 | 60 | 20 |
| 4. „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 14.IV | 80 | 10 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში, ვაჟები (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 5. ზიი (ზაპოროჟიე) — „ნევა“ (ლენინგრადი) | 14.IV | 70 | 10 | 20 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 6. „უდინეზე“ (უდინე) — „ატალანტა“ (ბერგამო) | 14.IV | 40 | 50 | 10 |
| 7. „ლეჩე“ (ლეჩე) — „ბოლონია“ (ბოლონია) | 14.IV | 10 | 50 | 40 |
| 8. „გენუა“ (გენუა) — „ინტერი“ (მილანი) | 14.IV | 10 | 50 | 40 |
| 9. „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „იუვენტუსი“ (ტურინი) | 14.IV | 20 | 30 | 50 |
| 10. „კრემონეზე“ (კრემონა) — „რომა“ (რომი) | 14.IV | 10 | 50 | 40 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „სპორტინგ ხიხონი“ (ხიხონი) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) | 15.IV | 30 | 60 | 10 |
| 12. „კადისი“ (კადისი) — „ბარსელონა“ (ბარსელონა) | 15.IV | 10 | 70 | 20 |
| 13. „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „ოვიედო“ (ოვიედო) | 15.IV | 70 | 20 | 10 |

## პროფესიული კალათბურთის ამბები

# აღმოსავლეთის კონფედერაცია

(ცენტრალური დივიზიონი)

**ცენტრალური** დივიზიონი ერთხმად არის მიჩნეული კალათბურთის ეროვნული ასოციაციის უძლიერეს ჯგუფად. აქ თავმოყრილია თანაბარი ძალის გუნდები. გთავაზობთ ბარი ქანოვის სტატიის იმ ნაწილს, სადაც გარჩეულია ცენტრალური დივიზიონის გუნდების თამაში.

1. „დეტროიტ-პისტონსი“. „ნბა-ს შარშანდელი ჩემპიონი კვლავ უძლიერეს გუნდად რჩება. მისი აღიარებული ლიდერები აიზია თომასი და ჯო დუმარსი დაჟინებით ირწმუნებიან, რომ გუნდიდან რიკ მაჰორნის წასვლის შემდეგ დეტროიტს უნდა ჩამოცილდეს უხეში გუნდის სახელი (მაჰორნი მინესოტაში გადავიდა). მაგრამ მათი ეს განაცხადი ლიტონ სიტყვად რჩება, როცა უყურებ როგორ აგრესიულად იგერიებენ მეტოქეებს ბილ ლამბიერი და დენის როდმანი, ისიც აღსანიშნავია, რომ მაჰორნის ადგილი სასტარტო ხუთეულში დაიკავა ჯონ სალეიმ, ასე რომ, გუნდმა ძალისმიერი თამაშის თვალსაზრისით არც თუ ბევრი დაკარგა, ხოლო შეტევითი თამაშის დაბეჯითებაში კი მოიგო კიდეც“.

2. „კლივლენდ კავალიერსი“. „ამ გუნდს 1989 წელს თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა. უფრო მეტიც, მთელს ლიგაში მეორე შედეგი აჩვენა (57 მოგება, 25 წაგება). სრული ფიასკო განიცადა „პლეი-ოფის“ სერიის პირველსავე მატჩში „ჩიკაგო ბულსთან“. სეზონის შემდეგ ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხი იყო ლარი ნენსის მუხლის ტრავმა, რამაც ოპერაციის შემდეგ კარგა ხნით გამოიყვანა მწყობრიდან. გუნდის უფროსი მწვრთნელი ლენი უილკინსი კლივლენდის მომავალ პროგრესს მჭიდროდ უკავშირებს პრაისის თამაშის გაუმჯობესებას“.

3. „ჩიკაგო ბულსი“. „რაც შეეხება ამ გუნდს, აქ ყველა გზას, რომ იტყვიან, მაიკლ ჯორდანთან მივყავართ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან პერსონალურად მიიყვანა გუნდი კონფედერაციის ფინალში დეტროიტთან შეხვედრამდე. თავისი დიდების ზენიტში მყოფ მაიკლ ჯორდანს არც ამჟამად ეტყობა იმის ნიშანწყალი, რომ ოდესმე თამაშს მოუკლებს და მიწაზე დაეშვება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჯორდანს გაუტოლდნენ დანარჩენი თანაგუნდელები. ამ მხრივ გუნდის ახალი უფროსი მწვრთნელი ფილ ჯეკსონი იმედის თვალით უყურებს: კინგს, სანდერსს, არმსტრონგს. ეს კი ჩიკაგოს დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს“.

4. „ატლანტა ჰოუქსი“. „შევარდნებმა, მაიკ ფრატელოს ხელმძღვანელობით ზედიზედ ოთხ სეზონში 50-ზე მეტ მატჩს იგებდნენ თითოეულში, მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ შარშან აღმოსავლეთის კონფედერაციის ნახევარფინალში ითამაშეს. ამ გუნდში ამინდს ქმნის ორი დიდი კალათბურთელი: მოზეს მელოუნი და დომინიკ უილკინსი. ეს უკანასკნელი ძალღონეს არ იშურებს, რომ თავის ლეგენდას კიდევ შემატოს ახალი შტრიხები, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1988 წლის „ოლ-სტარზის“ თამაშების შედეგების მიხედვით მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა, მაიკლ ჯორდანის შემდეგ, მისი ენთუზიაზმი თანდათან განელდა“.

5. „მილუოკი ბაქსი“: „მართლაც კადილაკივით მოგრიალდა წინა სეზონის ბოლოს მილუოკში გუნდის მენეჯერი გრეგ ანდერსონი (მეტსახელად „კადილაკი“) და თან მოიყვანა სან-ანტონიოს მცველი ალვინ რობერტსონი, რომელიც გუნდის ლიდერ კამინგსში გაცვალა. ამით მან გუნდს ძალისმიერება შემატა იერიშებში. რობერტსონმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მთავარი მწვრთნელის დელ ჰარისის გეგმების განხორციელებაში, მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება გუნდის ხელმძღვანელობის გეგმები, ამას სეზონის ბოლოს შევიტყობთ“.

6. „ინდიანა პეიზერსი“. „გუნდში მთავარი მწვრთნელის ვაკანტური ადგილი შარშან იანვარში დაიკავა დიკ ვერსეიმ. ინდიანამ 1988-89 წლების სეზონში მხოლოდ 28 თამაში მოიგო, წლევანდელ სეზონში კი საქმეები უკეთ მიდის. ჯერ ერთი, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დიდად პოპულარულმა მორბენალმა ფლორენს გრიფიტ-ჯოინერმა „ინდიანა პეიზერსის“ ახალ ფორმაზე გულმოწყალედ დასვა თავისი ავტოგრაფი, მეორე ის, რომ ბრწყინვალედ თამაშობს გუნდის ცენტრი რიკ სმითი (იგი ჰოლანდიის ნაკრების წარმომადგენელია). კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე გუნდის დებიუტანტი მცველი ჯორჯ მაკლოუდი. მიუხედავად გარკვეული ოპტიმიზმისა, გუნდს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი დივიზიონის ჩემპიონობამდე“.

7. „ორლანდო მეჯიკი“. „ირვინ „მეჯიკ“ ჯონსონი ამ სახელწოდებასთან არაფერ კავშირშია და ლიგის ის დიდი „მეჯიკი“, ალბათ, კიდევ კარგა ხანს, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე სეზონის განმავლობაში, არ იგრძნობს რაიმე კონკურენციას ლიგის ამ დებიუტანტისაგან. გუნდის უფროსი მწვრთნელი მატს გუკასი ნიჭიერი კაცია (ადრე იგი წარმატებით მუშაობდა „ფილადელფია-76“-ში), მაგრამ აქ ახალგაზრდების ერთ გუნდად შეკვრა, ალბათ, დისნეილენდის ფანტასტიკურ ქალაქში უფრო მოხერხდება, ვიდრე საწვრთნელ დაფასთან ან სათამაშო მოედანზე“.

მასალა მოამზადეს **მერაბ კალანდაძემ** და **ავთანდილ მაღრაძემ.**

**რედაქტორი**
**თ. ზარქილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
მდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
„მერანი“ — 93-97-90, „მატჩი“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
60465

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში: ხიზანიშვილის, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779